



# ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო



წერილის ნომერი: 31-31223291  
თარიღი: 25/11/2022

ადრესატი:

ბესიკ ტაბიძე  
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

## ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ სხდომის ოქმი N 12

ქ. ლანჩხუთი

21.11.2022 წელი

14:00 საათი

**სხდომას ესწრებოდა:** ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“  
თავმჯდომარე: **კახაბერ ასკურავა**.

ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე: **გიორგი გოგუაძე**.

ფრაქციის მდივანი: **ირმა მგელაძე**.

**სხდომას ესწრებოდა მოწვეული სტუმრები:** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელი **როლანდ ლაშხია**, მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსი **ირაკლი ხუხუნაიშვილი**, საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი **ხათუნა ვადაჭკორია**.

**ფრაქციის თავმჯდომარემ, კახაბერ ასკურავამ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:**

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 28 მარტის N18 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის შესახებ.

/მომხსენებელი: კახაბერ ასკურავა/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის თაობაზე.

/მომხსენებელი: კახაბერ ასკურავა/

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 25 ნოემბრის N26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის თაობაზე

/მომხსენებელი: კახაბერ ასკურავა/

4. სხვადასხვა საკითხები.

**ფრაქციის თავმჯდომარემ, კახაბერ ასკურავამ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:**

**მომხრე 3; წინააღმდეგი არცერთი.**

**დღის წესრიგის პირველი საკითხი:** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 28 მარტის N18 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის შესახებ ისაუბრა მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსმა **ირაკლი ხუხუნაიშვილმა**. მან განაცხადა, რომ საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხიდან და გეგმიდან ამოღებულ იქნას მერიის აუქციონატორის მიერ, პრივატიზირებული ქონება, კერძოდ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არამატერიალურ ქონებრივი სიკეთეს მიკუთვნებული წილი (მ.პ.ს. „ფეხბურთის კლუბი ლანჩხუთის გურიას ს/ნ 433651461 - 100%-იანი წილი) და ჩიბათის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზედ განთავსებული ხანძრისგან დამწვარი შენობა-ნაგებობა. (ს/კ 27.09.50.282).

ასევე აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის მოთხოვნით შეფასებული მუნიციპალური ქონება, კერძოდ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული აკეთის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზედ განთავსებული შენობა-ნაგებობა (ს/კ 27.03.45.288) და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ლანჩხუთის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე 300 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 27.06.52.670) შემგომში განკარგვის მიზნით აისახოს მუნიციპალიტეტის უძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხასა და გეგმაში.

ფრაქციის თავმჯდომარემ კახაბერ ასკურავამ განაცხადა, რომ საკმაოდ სენსიტიური თემაა ქალაქის ტერიტორიაზე მიწის გასხვისება. გასულ წლებში, ქალაქის ცენტრში, ბევრი ტერიტორიაა გასხვისებული, რომელსაც არ ვეთანხმები.

ირმა მგელაძემ განაცხადა, რომ როგორც ცნობილია, რკინიგზის მიმდებარე ტერიტორიაზე იგეგმება ბაზრის, ავტოსადგურის და მოედნის მოწყობა. ამდენად ისეთი ტერიტორია არ უნდა გასხვისდეს კერძო პირებზე, რომელიც ხელს შეუშლის ქალაქის განვითარებას.

**მომხრე 3; წინააღმდეგი არცერთი.**

**დღის წესრიგის მეორე საკითხი:** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის თაობაზე ისაუბრა კახაბერ ასკურავამ. მან აღნიშნა, რომ ფრაქციის წევრები თანახმა

არიან დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება. დაგეგმილია მუნიციპალიტეტის მერთან და ა(ა)იპ-ის ხელმძღვანელებთან ერთად გაიარონ ყველა დეტალი. შემდგომ ფრაქციის სახელით წარმოადგენენ შენიშვნებს.

### **მომხრე 3; წინააღმდეგი არცერთი**

**დღის წესრიგის მესამე საკითხი:** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 25 ნოემბრის N26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის თაობაზე ისაუბრა მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა **როლანდ ლაშხიამ**. მან ისაუბრა 2022 წლის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შესატან ცვლილებასთან დაკავშირებით კერძოდ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს დაეწერა ა(ა)იპ სკოლამდელი საგანმანათლებლო სააღმზრდელო ცენტრის წერილი, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია აუცილებლობიდან გამომდინარე გაეზარდოს შრომის ანაზღაურების მუხლი 148 200 ლარით, მათ შორის საქონელი და მომსახურების 73 200 ლარით არაფინანსური აქტივების 45 000 ლარით შემცირების ხარჯზე და 30 000 ლარით ზრდა მოხდეს მუნიციპალიტეტის სანებართვო მოსაკრებლის შემოსავლების ზრდის ხარჯზე.

კახა ასკურავა დაინტერესდა, რომ წინა საკრებულოს სხდომაზე შემოვიდა განაცხადი სხვა ა(ა)იპ-ებისთვის თანხის მატება, ახლა კი ა(ა)იპ სკოლამდელი საგანმანათლებლო სააღმზრდელო ცენტრი, რამ განაპირობა ეს ცვლილება?

როლანდ ლაშხიამ განმარტა, რომ ა(ა)იპ სკოლამდელი საგანმანათლებლო სააღმზრდელო ცენტრს აქვს გარკვეული თანხა და საჭიროა 30 000 ლარის მატება, რომელიც მხოლოდ სახელფასო ანაზღაურებაა.

კახა ასკურავამ განაცხადა, რომ 2023 წელს ყველა ა(ა)იპს ემატება 10% თუ არის დისბალანსი - არ ემატებათ ან 15- 20%-ია მატება.

როლანდ ლაშხიამ განაცხადა, რომ 2023 წელს გათვალისწინებულია 10%-იანი მატება ყველასთვის, რომელიც პროგრესირებადია სხვა წლებზე. თავისთავად თანხობრივი რესურსი მოსაპოვებელია ფინანსთა სამინისტროდან, სავარაუდოდ გაიზრდება შემოსავლების ნაწილი.

ირმა მგელაძემ განაცხადა, რომ გასულ წელს არ მოემატა ანაზღაურება ბაღების გაერთიანების ადმინისტრაციას და ვერ მიიღო ამომწურავი პასუხი, თუ რატომ დაიჩაგრა თანამშრომლები.

გიორგი გოგუაძემ განაცხადა, რომ 2022 წლის ბიუჯეტში ა(ა)იპ სკოლამდელი საგანმანათლებლო სააღმზრდელო ცენტრს 180 000 ლარი დასამატებელი აქვს, რადგან სწორად არაა იყო დაგეგმილი. გამოდის - ბიუჯეტი 11 თვეზე იყო გათვლილი, ეს ცუდი მენეჯმენტი. ბიუჯეტის დამტკიცების შემდეგ, წლის განმავლობაში არ უნდა მოხდეს ცვლილება. თუ დამატებითი თანხა შემოვა, შესაძლებელია შეთანხმებით განკარგონ.

როლანდ ლაშხიამ განმარტა, რომ 2022 წლის ბიუჯეტი 12 თვეზე იყო გათვლილი, ცვლილება გამოიწვია სახელფასო 10%-იანმა მატებამ, რომელიც მიმდინარე წლის დასაწყისში დაიგეგმა.

ირმა მგელაძემ განაცხადა, რომ მზრუნველობამოკლებულთა უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამაში 2023 წელს თანხა 130 000 ლარი იგეგმება. 2022 წელსაც ამდენივე თანხა იყო გათვლილი, ფასები ყველაფერს თითქმის 5-ჯერ მოემატა, მისი მოსაზრებით ტენდერში არ მიიღებს მონაწილეობას არავინ.

გიორგი გოგუაძემ განაცხადა, რომ ერთი ბენეფიციარის კვება დაახლოებით 3 ლარია, ხოლო ხარჯი ბევრად მეტია. ადმინისტრაციულ ერთეულებში ტრანსპორტი ემსახურებათ, რაც საკმაოდ ძვირია. მისი მოსაზრებით ცუდი დაგეგმილია.

### **მომხრე 3; წინააღმდეგი არცერთი**

#### **სხვადასხვა**

ირმა მგელაძემ დააყენა საკითხი ყოფილი ჩაის ფაბრიკის ტერიტორიის მოწესრიგების შესახებ. მან განაცხადა, რომ ძველი სამშენებლო ნარჩენებია, რომელიც ხელს უშლის წყლის გასვლას და იტბორება მოსახლეობა, მათ შორის მისი ეზოც. დიდი ნაღვეის დროს სამაშველო სამსახურის გამოძახება უხდებათ. ასევე იქ მდებარეობს (მიშა ცინცაძის) მინი ჩაის ფაბრიკა, რომელსაც სტუმრობს როგორც ადგილობრივი ასევე უცხოელი მოქალაქე, უხერხულია მისასვლელი გზა არ არის არცერთი მხრიდან.

გიორგი გოგუაძემ განაცხადა, რომ მრავალგზის განიხილა და აჩვენა ზედამხედველობის სამსახურს ეს ტერიტორია, რომ დასუფთავდეს - მაგრამ უშედეგოდ.

ამით ფრაქციის სხდომამ მუშაობა დაასრულა




პატივისცემით,

კახაბერ ასკურავა

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“-საკრებულოს ფრაქცია "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" თავმჯდომარე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია  
„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრების

სარეგისტრაციო ფურცელი  
21.11.2022 წელი  
14.00 საათი

სახელი, გვარი	დაწყების დრო	ხელმოწერა
1. თავმჯდომარე – კახაბერ ასკურავა	14 <sup>00</sup>	
2. გიორგი გოგუაძე	14 <sup>00</sup>	
3. ირმა მგელაძე	14 <sup>00</sup>	
4. გივი ცინცაძე	—	